საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით
დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.06.2019

საჩივრის რეგისტრაციის №077/19

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ფ.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 18 ივნისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. დ.-მა და მოითხოვა ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის ოქტომბრის თვეში საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატ თ. ფ.-ს. 2018 წლის 25 ოქტომბერს ადვოკატ თ. ფ.-სა და

საჩივრის ავტორს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რის შემდგომაც ლ. დ.-მა ადვოკატ თ. ფ.-ს ხელზე გადასცა შეთანხმებული ჰონორარის ნახევარი - 750 ლარი.

1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატ თ. ფ.-ს მიაწოდა ინფორმაცია, რის თაობაზე სურდა საადვოკატო მომსახურების მიღება. კერძოდ, საჩივრის ავტორს რამდენიმე წლის წინ „ყალბი დოკუმენტების გამოყენებით წაართვეს საცხოვრებელი ბინა“ და აღნიშნულ საქმეზე შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატ თ. ფ.-ს უნდა შეეტანა სარჩელი მოდავე მხარის წინააღმდეგ და წარმოედგინა ლ. დ.-ის ინტერესები სასამართლო პროცესებზე. საჩივრის ავტორმა ადვოკატ თ. ფ.-ს გადასცა საქმის მასალები.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების შეთანხმების შემდეგ, ის ადვოკატს სთხოვდა დროულად დაეწყო მისი საქმისწარმოება, კერძოდ, შეედგინა სარჩელი, თუმცა ადვოკატი შემდგომ ავადმყოფობდა და აღარ დაკავშირებია. აღნიშნულის შემდეგ, საჩივრის ავტორი და ადვოკატი თ. ფ. კვლავ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ადვოკატმა სთხოვა, რომ ჰონორარის მეორე ნახევარი - 750 ლარი გადაეხადა მისთვის, იმისათვის, რომ სასამართლოში წარედგინა მის საქმესთან დაკავშირებით სარჩელი.

1.5 ლ. დ.-მა 2019 წლის 25 მარტს ადვოკატ თ. ფ.-ს გადასცა ხელზე ჰონორარის მეორე ნაწილი - 750 ლარი, თუმცა ამის შემდგომ, დაპირების მიუხედავად, ადვოკატ თ. ფ.-ს არ უწარმოებია საჩივრის ავტორის საქმე და ვერ უკავშირდებოდა ვერც მას და ვერც მის შვილს - ადვოკატ ბ. ფ.ს, რის შემდგომაც, ლ. დ.-მა დახმარებისთვის მიმართა „პატრიოტთა ალიანსს“.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წლის აპრილის თვეში ის იუსტიციის სახლში შეხვდა ადვოკატ თ. ფ.-ს და მოსთხოვა გადახდილი ჰონორარისა და საქმის მასალების უკან დაბრუნება, რადგანაც დიდი დროის გასვლის მიუხედავად ადვოკატს მისი საქმისწარმოება არ ჰქონდა დაწყებული. ადვოკატმა თ. ფ.-მ საჩივრის ავტორს უთხრა, რომ ის გააგრძელებდა მის საქმეზე მუშაობას, თუმცა ლ. დ.-მა უარი განუცხადა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 10 აპრილს დაგეგმილი იყო შეხვედრა ადვოკატ თ. ფ.-სთან, რომელსაც მისთვის უნდა გადაეცა საქმის მასალები, თუმცა ადვოკატი არ მივიდა შეხვედრაზე და სატელეფონო საუბრისას ლ. დ.-ს განუცხადა, რომ იქ არ უნდა მისულიყო, რადგან სასამართლოს შენობაში იყო და „აბარებდა მის დოკუმენტებს“.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ამის შემდგომ, მან მიმართა პარლამენტს განცხადებით, სადაც მუშაობს ადვოკატი ბ. ფ.. განცხადებაში ლ. დ.-მა მიუთითა, რომ ადვოკატებთან - თ. და ბ. ფ.-თან ჰქონდა პრობლემები და ითხოვდა დახმარებას. სამი თვის გასვლის შემდგომ, ადვოკატი ბ. ფ. დაუკავშირდა თავად საჩივრის ავტორს და დაუბრუნა საქმის მასალები, თუმცა გადახდილი ჰონორარი მათ ამ დრომდე არ დაუბრუნებიათ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ფ.-მ 2020 წლის 21 სექტემბერს წარმოადგინდა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატი არ გამოცხადებულა ამავე წლის 21 სექტემბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე და იშუამდგომლა მის მიერ წარმოდგენილი განმარტებებით ეხელმძღვანელა კომისიას.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2018 წლის ოქტომბრის თვეში მას იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით, მიმართა ლ. დ.-მა. ადვოკატს საჩივრის ავტორმა მიაწოდა ინფორმაცია მისი საქმის თაობაზე, რაც ეხებოდა საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებულ დავას.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან, ლ. დ.-ს საქმესთან დაკავშირებით გარდა ზეპირი განმარტებისა, რაიმე დოკუმენტაცია არ ჰქონდა, მისი მოძიებისთვის და გაცნობისთვის შეთანხმების შესაბამისად, საჩივრის ავტორმა ჰონორარის სახით გადაიხადა 750 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის შემდგომ აღმოჩნდებოდა, რომ საქმეს პერსპექტივა არ ექნებოდა, საჩივრის ავტორს უკან არ დაუბრუნდებოდა გადახდილი ჰონორარი, მაგრამ საქმისწარმოების გაგრძელების შემთხვევაში, საჭირო იყო ჰონორარის მეორე ნახევრის - 750 ლარის გადახდა.

2.4 შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატ თ. ფ.-სა და ლ. დ.-ს შორის 2018 წლის 25 ოქტომბერს გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და გაიცა მინდობილობა ადვოკატის სახელზე.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორთან ერთად მოიძია რუსთავის საქალაქო სასამართლოს არქივიდან, საჯარო რეესტრიდან, აღსრულების ეროვნული ბიუროდან, პროკურატურიდან, სამოქალაქო რეესტრიდან მტკიცებულებითი მასალები, რისთვისაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების 3.2.7 მუხლის მიხედვით, კლიენტი იყო ვალდებული და იხდიდა კიდეც საჭირო თანხებს.

2.6 ადვოკტის განცხადებით, დადგინდა რომ ვინაიდან, საჩივრის ავტორი ეროვნებით ოსია, ამ მხრივ იყო დევნილი და ქონება წაართვეს, ამასთან, 2016 წლამდე იყო პირადობის მოწმობის არმქონე პირი, წლობით სხვის სახლში ცხოვრობდა და შესაბამისად, ვერ იღებდა სოციალურ დახმარებას და ვერ მონაწილეობდა არჩევნებში.

2.7 ადვოკატის განცხადებით მან 2019 წლის 01 დეკემბრისთვის დაასრულა საქმესთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა, შესაბამისი დოკუმენტების მოძიება და სასარჩელო განცხადების პროექტის მომზადება, რომელსაც გაეცნო საჩივრის ავტორი, რის შემდგომაც საქმის წარმოების გაგრძელებისთვის ჰონორარის მეორე ნაწილი უნდა ჩარიცხულიყო. საჩივრის ავტორმა ადვოკატს განუმარტა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, ვერ ახერხებდა მის ნახვას, სჭირდებოდა დამატებითი დრო, რაც გაითვალისწინა ადვოკატმა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა საადვოკატო მომსახურების შეთანხმებით არსებული პირობა დაარღვია და ჰონორარის მეორე ნაწილი 5 თვის დაგვიანებთ, 2019 წლის 25 მარტს გადაიხადა, აგრეთვე ლ. დ.-მა ადვოკატს გადასცა მას საქმესთან დაკავშირებით ხელნაწერი განცხადება, თუ რა ოდენობის მოძრავი ქონება დარჩა სახლში მისი გამოსახლებისას და სთხოვა ადვოკატს რომ სარჩელი შეესწორებინა აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით. ადვოკატმა საჩივრის ავტორის მითთებით შეცვალა სარჩელში აღნიშნული გარემოებები.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად საჩივრის ავტორის მიერ ვალდებულების დროულად შეუსრულებლობისა მას „ხელშერკულება არ შეუჩერებია და არც შეუწყვიტავს“. აღნიშნული ადვოკატს არ გაუპროტესტებია, მათ შორის საჩივრის ავტორისთვის არ გაუგზავნია წერილი ხელშეკრულებიდან გასვლაზე.

2.10 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ კანონით დადგენილი წესით სარჩელს მისი სახელით წარადგენდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, თუმცა საჩივრის ავტორს სურდა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიმართვა. ადვოკატმა განუმარტა ლ. დ.-ს, რომ სარჩელი ქვემდებარეობით რუსთავის საქალაქო სასამართლოს უნდა განეხილა. აგრეთვე, ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ ვინაიდან, ის იყო სოციალურად დაუცველთა სიაში, სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ მოუწევდა. ადვოკატმა სარჩელის პროექტის ბოლო ვერსია ლ. დ.-ს 2019 წლის 01 აპრილს გააცნო, რაც მან მოიწონა და დათანხმდა, რომა ასეთი ფორმთ წარდგენილიყო სასამართლოში.

2.11 ადვოკატის განცხადებით, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ის არ აწვდიდა ინფორმაციას თავის კლიენტს საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ჰონორარის მეორე ნაწილის გადახდიდან 10 აპრილამდე საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის ორჯერ ჩაინიშნა შეხვედრა, მათ შორის, ადვოკატის განცხადებით, ის ადასტურებს იმ გარემოებას რომ 2019 წლის აპრილს შეუთანხმდა საჩივრის ავტორს შეხვედრაზე და ელოდებოდა მას სასამართლოში, სადაც ადვოკატისთვის უნდა გადაეცა მისგან წაღებული სარჩელზე დასართავად საჭირო დოკუმენტები, რომელსაც ერთობლივად მისი ხელმოწერის შემდეგ შეიტანდნენ სასამართლოში, თუმცა საჩივრის ავტორმა „ატეხა ისტერიკები“ და „გაიქცა“ „პატრიოტთა ალიანსში“.

2.12 ადვოკატისს განცხადებით, საჩივრის ავტორის განაწყენების მიზეზი იყო არა ის რომ „არაფერს აკეთებდა მის საქმეზე“, არამედ ლ. დ.-ს სურდა „მზა სარჩელის ხელში ჩაგდება“ და გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება.

2.13 ადვოკატი არ ეთანხმება ეთიკის კომისიის მიერ აღნიშნულ დისციპლინურ საქმეზე მიღებულ დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილებას და უთითებს, რომ საადვოკატო მომსახურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და ის ვერ განიხილება დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლებში და პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს წარმოადგენს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რაზეც ნამსჯელი აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის დს-7/17-16 გადაწყვეტილებაში.

2.14 ადვოკატის განმარტებით, მას საჩივრის ავტორთან გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში არ მიუთითებია ისეთი პუნქტი, რაც არ ითვალისწინებს გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაუბრუნებლობას. ადვოკატის განცხადებით, ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითთებულია, რომ ადვოკატს აქვვს უფლება „შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ კლიენტი არაჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობს და დროულად არ იხდის ჰონორარს.

2.15 ადვოკატის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკურლება საჩივრის ავტორის ინიციატივით შეწყდა. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან, საჩივრის ავტორმა ჰონორარის გადახდის ვალდებულება დაარღვია, აღნიშნული აძლევდა ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას.

2.16 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ჰონორარის დაუბრუნებლობას ეხება, კერძოდ, 7.4 პუნქტში მითთებულია, რომ "ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე დავები წყდება შეთანხმებით ან სასამართლოს მეშვეობით". ხელშეკრულების 4.6 პუნქტით კი მითითებულია, რომ „იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა ადვოკატის მიერ, კლიენტის მიერ გადახდილი თანხა არ ბრუნდება".

2.17 ადვოკატის განცხადებით, მან მიღებული ჰონორარის 1500 ლარის ფარგლებში შეასრულა საადვოკატო მომსახურება. ადვოკატის განმარტებით, მართალია აღნიშნული ჰონორარი სამივე ინსტანციაში საქმისწარმოებას მოიცავდა, თუმცა საადვოკატო მომსახურება შეწყდა საჩივრის ავტორის ინიციატივით, ამასთან, მან იურიდიული მომსახურება გაწია, რაც მოიცავდა როგორც დოკუმენტების მოძიებასა და შესწავლას, ასევე სარჩელის შედგენას, რაც საქმის მომზადებას ნიშნავს და აღნიშნული მნიშვნელოვანია, ვიდრე სასამართლოში წარდგენა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წლის 24 სექტემბერს, მეხუთე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატს არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორისთვის - ლ. დ.-სთვის მისგან მიღებული ჰონორარის ის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მას არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება, შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ-ის) 8.15 მუხლი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი არ აწვდიდა საქმესთან დაკავშირებით საჩივრის ავტორს ინფორმაციას შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 6.2 მუხლი და აპეკ-ის 8.6 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1.1 2018 წლის 25 ოქტომბერს მხარეთა შორის შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა ლ. დ.-ის სამოქალაქო საქმე მის საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებულ დავაზე - სამივე ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

2018 წლის 25 ოქტომბრის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება;

2018 წლის 25 ოქტომბრის მინდობილობა;

4.1.2 საჩივრის ავტორმა ადვოკატს საქმისწარმოების დაწყებისათვის ხელზე წინსწრებით გადასცა ჰონორარის ნახევარი - 750 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

4.1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაუხადა ჰონორარის მეორე ნაწილი 2019 წლის 25 მარტს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

2018 წლის 25 ოქტომბრის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება;

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 მხარეთა შორის სადავოა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოცულობა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა არ დაიწყო დროულად მისი საქმისწარმოება სასამართლოში, არ აწვდიდა ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებით.

ადვოკატი განმარტვს, რომ მან სასამართლოში საქმისწარმოების დაწყებამდე მოამზადა საქმე, გაეცნო მასალებს, მათ შორის მოიძია დოკუმენტაცია, მიმართა სხვადასხვა ორგანოებს, გაამზადა სარჩელის პროექტი, რომელიც შემდგომ გააცნო კლიენტს - საჩივრის ავტორს, რომლის ინიციატივით შეწყდა ხელშეკრულება და ადვოკატმა ვერ შეძლო საქმისწარმოების ბოლომდე დასრულება.

განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა თ. ფ.-მ შეთანხმების შესაბამისად, დაიწყო საადვოკატო მომსახურების განხორციელება. ადვოკატმა კომისიას წარმოუდგინა საქმესთან დაკავშირებით შედგენილი სარჩელი, თუმცა არ დასტურდება ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტი ადვოკატმა საჩივრის ავტორს გააცნო. საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, მათ შორის სარჩელზე ლ. დ.-ის ხელმოწერა ან რაიმე სახის დოკუმენტი, მათ შორის ხელწერილის სახით, რაც კომისიისთვის სარწმუნოს გახდიდა ადვოკატის მიერ სარჩელის გაცნობის თაობაზე საჩივრის ავტორის ინფორმირების ფაქტს. კომისია მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისთვის ჰონორარის მეორე ნაწილის გადახდით დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატი აწარმოებდა საქმეს, ჰქონდა კომუნიკაცია საჩივრის ავტორთან და უნდა დაეწყო საადვოკატო მომსახურების მეორე ეტაპი - საქმის მომზადების შემდგომ მიემართა სასამართლოსთვის, თუმცა აღნიშნულ ეტაპზე ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება:

> აპეკ-ის 8.15 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

6.2 „ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16).

6.3 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18).

6.4 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა

აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №038/16).

6.5 „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესმა სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმე #დს-შ/17-16) .

6.6 დგინდება, რომ 2018 წლის 25 ოქტომბერს, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების დროს ადვოკატმა თ. ფ.-მ შეთანხმების შესაბამისად, მიიღო წინსწრებით ჰონორარის პირველი ნახევარი - 750 ლარი. მხარეთა პოზიციებიდან ირკვევა, რომ ჰონორარის მეორე ნახევარი ადვოკატს უნდა მიეღო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის. დასტურდება, რომ საჩივრის ავტორმა ჰონორარის მეორე ნაწილი ადვოკატს გადაუხადა 2019 წლის 25 მარტს.

6.7 ადვოკატის პოზიციაა, რომ საჩივრის ავტორმა მას ჰონორარის მეორე ნაწილი შეთანხმებული ვადის დარღვევით გადაუხადა, თუმცა კოლეგია აღნიშნავს, რომ მათ შორის არსებულ შეთანხმებაში (ხელშეკრულებაში) არ არის მითითებული ჰონორარის მეორე ნაწილის გადახდის ვადა. ადვოკატის პოზიციით, ვინაიდან, კლიენტმა აღნიშნულ ნაწილში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება დაგვიანებით შეასრულა, მას უფლებამოსილება ჰქონდა არ გაეგრძელებინა საადვოკატო მომსახურება. კოლეგია განმარტავს, რომ ჰონორარის მეორე ნაწილის მიღებით ადვოკატმა გამოხატა მზაობა, რომ აგრძელებდა საადვოკატო მომსახურებას, რასაც ადვოკატიც ადასტურებს, თუმცა განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევა საჩივრის ავტორის ინიციატივით შეწყდა, რადგან მას „მზა სარჩელის ხელში ჩაგდება“ და ჰონორარის სრულად დაბრუნება სურდა.

6.8 შედეგად დგინდება, რომ მიღებული ჰონორარის მეორე ნაწილი მოიცავდა სასამართლოში საქმისწარმოებას, თუმცა აღნიშნული არ განხორციელებულა. მოცემულ შემთხვევაში, მხარეები სადაოდ ხდიან ვისი ინიციატივით შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის ინიციატორზე არ არის დამოკიდებული გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება.

6.9 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორსა და ადვოკატ თ. ფ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა ვადამდე - ხელშეკრულებით (მინდობილობით) გათვალისწინებული მომსახურების სრულ შესრულებამდე, რის საფუძველზეც ადვოკატს წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, რაც არ განახორციელა. შესაბამისად, ადვოკატ თ. ფ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15-ე მუხლით დადგენილი ეთიკური სტანდარტი. კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს,

რომ ადვოკატი კლიენტთან შეთანხმებით თავად განსაზღვრავს საადვოკატო მომსახურების შესაბამისი ეტაპებისთვის ჰონორარის ოდენობას. კომისიის კომპეტენციას არ მიეკუთვნება კონკრეტულად მიუთითოს და განსაზღვროს გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობა, არამედ ადგენს მიღებული ჰონორარის ფარგლებში რამდენად განხორციელდა საადვოკატო მომსახურება სრულად და შესაბამისად, დაირღვა თუ არა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების წესი.

6.10 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა თ. ფ.-მ ლ. დ.-თან გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში შემდეგი პუნქტის მითითებით: „...საქმის შემდგომ წარმოებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადისა, კლიენტი ვალდებულია ადვოკატს სრულად გადაუხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ირუდიული მომსახურების საფასური (ჰონორარი), დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია“.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ-ის) 8.6 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ“

6.11 ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეზე საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალსწინებული შეთანხმების თაობაზე განმარტა, რომ „შესაფასებელია, სთავაზობს თუ არა ადვოკატი კლიენტს, საადვოკატო მომსახურების პირობების შეთანხმებისას, პროფესიული ეთიკის კოდექსისაგან განსხვავებულ რეგულირებას. არსებობს ვალდებულებები, რომლიდანაც გადახვევა დაუშვებელია: მაგ. მოსარჩელის და მოპასუხის ერთობლივი წარმომადგენლობა ერთი საადვოკატო ბიუროს ადვოკატების მიერ; თუმცა არსებობს ვალდებულებები, სადაც ეს დასაშვებია, მაგ. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებიდან გამონაკლისები. პირველ შემთხვევაში, დაუშვებელია სახელშეკრულებო ურთიერთობებით ადვოკატმა და კლიენტმა პროფესიული ეთიკის ნორმებით დადგენილი სტანდარტები შეცვალონ, ხოლო მეორე შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმება ორ წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს: ა) შეთანხმება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროფესიული ეთიკის საფუძვლებს და ბ) უნდა არსებობდეს კლიენტის ინფორმირებული თანხმობა, ადვოკატის მიერ ყველა რისკის მისთვის შეტყობინების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წინაპირობა არ არის დაკმაყოფილებული, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ეთიკური ნორმიდან განსხვავებული მოწესრიგების დასაშვებობაზე“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 20 სექტემბერის გადაწყვეტილება საქმე 070/18).

6.12 ადვოკატის მიერ აპეკ-ში დადგენილი ვალდებულებების საწინააღმდეგო მოწესრიგების გათვალისწინების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 დაადგინა „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და

დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

6.13 ხელშეკრულებით პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გადახვევის საკითხზე იმსჯელა ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეზე და განმარტა, შემდეგი - „მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს არ გაუხმაურებია კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დროში შეზღუდვის შესახებ მითითება ხელშეკრულებაში ეწინააღმდეგება ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნას - კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდულ დროში. დაუშვებელია ადვოკატმა, საკუთარ თავს, კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტლება, საქმე #134/12).

6.14 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ფაქტობრივი დარღვევის არსებობის მიუხედავად, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტებთან შეუსაბამო რეგულირების ჩაწერა ხელშეკრულებაში, წარმოადგენს დარღვევას.

6.15 განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ადვოკატმა შესთავაზა კლიენტს ხელშეკრულების ისეთი ჩანაწერი, რომელიც კლიენტისთვის ინფორმირების ვალდებულების დარღვევაა. შესაბამისად, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის საწინააღმდეგო რეგულირების ჩაწერა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

6.16 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.17 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ “სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის

დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია"(საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.18 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.19 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.20 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას" (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.21 ეთიკის კომისია დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას ეთიკური ვალდებულების დარღვევისადმი. ადვოკატი არ მიიჩნევს, რომ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება საადვოკატო მომსახურების ნაწილის შესრულებისას არსებობს, რაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში უნდა აისახოს.

6.22 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. თუმცა, ამავდროულად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ თ. ფ.-ს მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. ეთიკის კომისია, სახდელის შეფარდებისას ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ თ. ფ.-ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

6.23 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა დაკისრებული პასუხისმგებლობა მსგავს დარღვევებზე. 2019 წლის 10 იანვრის საქმე 011/18 გადაწყვეტილებაში, აპეკ-ის 8.15-თან ერთად დადგინდა აპეკ-ის 8.13 მუხლით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებების დარღვევა, რის მიხედვითაც მოცემულ საქმეზე განისაზღვრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. 2018 წლის წლის საქმე 098/17 გადაწყვეტილებაში, აპეკ-ის 8.15 თან ერთად მსგავსად მოცემული საქმისა დადგინდა კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევაც და განისაზღვრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. 2019 წლის 20 სექტემბერის გადაწყვეტილებით საქმეზე 070/18 კომისიამ დაადგინა აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა, მიუხედავად ადვოკატის მიერ ჰონორარის ნაწილის დაბრუნებისა, რადგან ადვოკატმა აღნიშნული ვალდებულება წელიწადნახევრის შემდგომ შეასრულა, რაც კომისიამ არაჯეროვან შესრულებად ჩათვალა, ამავდროულად, კომისიამ მსგავსად აღნიშნული საქმისა პროფესიული ეთიკის საწინააღმდეგო რეგულირების საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში ჩაწერა დაადგინა, თუმცა დისციპლინური სახდელის განსაზღვრისას გაითვალისწინა ჰონორარის დაბრუნების ნება და დისციპლინური პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ფორმა განისაზღვრა - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. 2016 წლის 16 სექტემბრის №038/16 გადაწყვეტილებაში დადგინდა მხოლოდ აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა, მაგრამ ადვოკატს არ გამოუხატავს ნება დაებრუნებინა ჰონორარის ნაწილი კლიენტისთვის და დამდგარი ზიანის გათვალისწინებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა - გაფრთხილება.

6.24 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ფ.-ს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6(2) მუხლით, ; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 და 8.15 მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4.5, მე-4.6, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, მე-40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N077/19 ადვოკატ თ. ფ.-ის მიმართ /სიითი№/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/